ოქმი:ო37. 3726253001
თარიღი:10/09/2026

ოქმი N 24

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2026 წელი, 09 სექტემბერი

ქ. ოზურგეთი

12:00 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ.კიკვაძე, ტ.აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, ე.გორდელაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

2. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

3. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 ნოემბრის N61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მე-2 კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1 საკითხი განსახილველად და საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (დ.ჭაკნელიძე).

2. N 2 საკითხი მოსამზადებლად, ხოლო N3 საკითხი განსახილველად და საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (მ.ჩხიკვიშვილი).

3. N 4 საკითხი განსახილველად დაეწეროს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს, ხოლო საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (გ.ჩავლეშვილი).

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართება **მ/წ 11 სექტემბერს, 12:00 სთ-ზე**.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი